„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2021 წლის 25 მარტი, 01-03/03-ა ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების

ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძვლზე შემუშავებული ა9ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისშის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმს და პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს. ვერიფიკაციის მექნიზმი უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას და „უნივერსიტეტი“ თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად.

მუხლი 2. შეფასების – ვერიფიკაციის მექანიზმი

2.1. ვერიფიკაცია არის „უნივერსიტეტში“ გამოყენებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი ანუ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

1. უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:
   - ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
   - ✓ პროცესის ვერიფიკაცია;
   - ✓ მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
2. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
   - ✓ შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
   - ✓ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
   - ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი;
   - ✓ ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

2.2. შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა) ნიშნავს, რომ „უნივერსიტეტში“ შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- ✓ დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- ✓ სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);

- ✓ პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ✓ ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- ✓ საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
- ✓ მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- ✓ სხვა.

2.3. რისკების სისტემა გულისხმობს „უნივერსიტეტის“ პროფესიულ სწაავლებაში წარმოშობილი ან მოსალოდნელი რისკის რეესტრს, სადაც ასახულია: გარემოებები, რომლებიც შესაძლოა იწვევდნენ და ხელს უწყობდნენ რისკ-ფაქტორს; შესაძლო რისკების სია; რისკის შეფასების კოეფიციენტი.

რისკების რეესტრის ცხრილის ნიმუში

რისკების რეესტრი			
№	რისკის წარმოქმნის გარემოება	შესაძლო რისკები	კოეფიციენტი
1	დამწყები მასწავლებლის ფაქტორი	პროფესიული განათლებლის პრინციპის არ ცოდნა	
		მოდულზე მუშაობის, ადაპტირების არ ცოდნა ან/და გამოუცდელობა	
		შეფასების სისტემის შესახებ არასრული ინფორმაცია	

2.4. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

1, **ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები** თავის ფუნქციებს ახორციელებენ წინასწარი გეგმის მიხედვით (**იხ.: დანართი 1**)

2. **პროფესიული განათლების ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი** ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში; ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას დარგის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს;

3, **დარგის სპეციალისტი** - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს;

4, **პროფესიული განათლების ცენტრი** უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას; უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას;

5, **პრაქტიკის ხელმძღვანელი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი** უზრუნველყოფს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის როგორც შეფასების მტკიცებულების შესწავლას.

2.5. ვერიფიკაციის პროცესი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად;
2. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება;
3. „ჯგუფი“ უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები;
4. ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი;
5. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას პროფესიული სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. შედეგები, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის;
6. „უნივერსიტეტი“ დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუქცია

3.1. შეფასების ინსტრუმენტების შედგენა და ფორმა

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა და ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

- **ვალიდური** - შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- **სანდო** - შეფასების სისტემით განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებული უნდა იყოს სათანადო მტკიცებულებებით.
- **გამჭვირვალე** - შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ ცნობილი უნდა იყოს ყველა შესაფასებელი პირისათვის.
- **სამართლიანი და ობიექტური** - შეფასების პროცესი ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევდეს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული და ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად უნდა იყოს შეფასებული.

2. შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული მასწავლებელი.
3. შეფასების ინსტრუმენტების ფორმები დამტკიცებულია ამ წესის დანართი N2 შესაბამისად.

3.2. შეფასების ტიპები და მიმართულებები

1. გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
   - განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს მოდულური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში.
   - განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ის არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაზე. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.
2. შეფასების მიმართულებებია: pროცესზე დაკვირვება; პროდუქტი / შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).
3. პროცესზე დაკვირვება: პროფესიული განათლების მასწავლებელი აკვირდება პროფესიული სტუდენტის მუშაობას პროფესიული სტანდარტით (პროგრამით/მოდულით) განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც პროფესიული პირი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. პროფესიული განათლების მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს პროფესიული პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

3.4. პროდუქტის / შედეგის შეფასება

- მიმართულება გულისხმობს არა მარტო პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი „პროდუქტის“ შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან პროფესიული სტუდენტის შრომით დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის“ შეფასებასაც, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროექტი, გაფორმებული ხელშეკრულება, შექმნილი CV და ა.შ.

3.5. გამოკითხვა

1. გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი.
2. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს და გადაწყვიტოს, აითვისა თუ

არა პროფესიულმა სტუდენტმა მოდულის სწავლის შედეგებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები.

3. წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

3.6. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

1. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:
   - საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება;
   - პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის დასახელება;
   - მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
   - შეფასების მიმართულება;
   - შეფასების ინსტრუმენტი;
   - პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი;
   - სწავლის შედეგი /შედეგები;
   - დავალების აღწერა და დავალების შესრულების ინსტრუქცია, რომელიც იქნება პროფესიული სტუდენტისათვის გასაგები;
   - დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო;
   - შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი;
   - აღწერილია შეფასების პროცესი პირობები (მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუარა პროფესიულ სტუდენტებს თანამშრომლობა და სხვა);
   - ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი;
   - ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ (დეტალურად მიეთითება რომელი მოდულისწინაპირობაა აღნიშნული მოდული და რა პერიოდში მოხდება გადაბარება);სწავლის შედეგის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულების დასახელება;
   - დავალების შინაარსი:
   - შეფასების სქემა - სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;
   - შეფასების ჩატარების თარიღი;
   - ინსტრუმენტის შემმუშავებელი მასწავლებლის გვარი, სახელი,

3. გამოკითხვის მიმართულებაში ტესტების გამოყენების შემთხვევაში: ა) განისაზღვროს ტესტის შევსების ინსტრუქცია; ბ) მოხდეს თითოეული ტესტური დავალებისთვის პირობის განსაზღვრა; გ) შერჩეული იქნას ერთგვაროვანი დისტრაქტორები, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს პასუხის გამოცნობის ალბათობას; დ) ტესტში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები; ე) ტესტები დაინომროს; ვ) შემუშავდეს ტესტის გასაღები;
4. პროცესზე დაკვირვების მიმართულებისთვის - აუცილებლად შემუშავდეს და ინსტრუმენტში ჩაიდოს პრაქტიკული დავალება/ქეისი/სიმულაციის შინაარსი; არ მოხდეს შეფასების კრიტერიუმების პირდაპირ გადმოტანა ჩეკლისტად; მტკიცებულების შექმნის მიზნით, შემუშავდეს განსაზღვრული პროცედურა;

5. პროდუქტი/შედეგის მიმართულებისთვის - აუცილებლად განისაზღვროს პრაქტიკული დავალება და შემუშავდეს დავალების შემოწმების კრიტერიუმები;

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა

4.1. შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა და შეთანხმება

1. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას ეყრდნობა კონკრეტულ მოდულს.
2. აუცილებელია, რომ შეფასების მიმართულება შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით), ან/და ზეპირი ან წერილობითი მტკიცებულება, შესრულების მტკიცებულება, პროდუქტი შედეგი, როგორც მტკიცებულება.
3. პროფესული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს „უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 1 კვირის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო დარგის სხვა სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;
4. შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას. შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმებული ვერსია გასაცნობად გაეგზავნება „უნივერსიტეტის“ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
5. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული.

4.2. შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა

1. შეფასების შედეგი შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებელთან;
2. პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგის გაცნობას ადასტურებს შეფასების მტკიცებულებაზე ხელმოწერით;
3. თუ სტუდენტი ვერ იღებს ინფორმაციას პროფესიული განათლების მასწავლებლისაგან, მაშინ ინფორმაციას, შეფასების უწყისზე დაყრდნობით, გასცემს ფაკულტეტის დეკანატი;

მუხლი 5. შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები

5.1. შეფასებიდან მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეში პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასების უწყისის ჩაბარებას დეკანატში და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა განმეორებითი სწავლის შედეგის შეფასების უწყისი;

5.2. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელიმოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის განმეორებითი შეფასების უწყისის ჩაბარებას;

5.3. მოდულის ფარგლებში მოპოვებულ პროფესიულ სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ინახავს შესაბამისი ჯგუფის პორტფოლიოში;

5.4. წერილობითი ან/და პრაქტიკული დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში;

5.5. ზეპირი გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების ფურცლები წარმოდგენილია ჯგუფისათვის ერთიანად და ინახება ჯგუფის საერთო პორტფოლიოში;

5.6. მოდულის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;

5.7. პროგრამის ხელმძღვანელი აკონტროლებს მოდულის დასრულებიდან ან განმეორებითი შეფასების დასრულებიდან ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებების და საბოლოო შეფასების უწყისის ჩაბარებას;

5.8. პროფესიული განათლების ცენტრი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ იბარებს მტკიცებულებებს რაოდენობრივად შეფასების უწყისის შესაბამისად;

5.9. შეფასების მტკიცებულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციასა და რეკვიზიტებს: აღნიშვნა: შედეგ(ებ)ი დადასტურდა/ არ დადასტურდა; პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა; პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;

5.10. შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი; პროფესიული განათლების ცენტრი);

5.11. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში;

5.12. პროფესიული სტუდენტის შეფასებიდან გამომდინარე სწავლის შეწყვეტის საკითხის დადგომის შემთხვევაში, „უნივერსიტეტი“ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უწყისის ცაბარებიდან მინიმუმ ერთი კვირის მანძილზე უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების გამოცემას;

5.13. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში პროფესიული განათლების ცენტრი აბარებს „უნივერსიტეტის“ არქივს შეფასების მტკიცებულებებს;

5.14. მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განისაზღვროს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი (ცვლილება: 01-02/102; 10.06.2020);

5.15. პროფესიული სტუდენტის შეფასების თაობაზე ინფორმაციის გაცემის პროცესში „უნივერსიტეტი“ ვალდებულია დაიცვას პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, მოთხოვნის შემთხვევაში გაკეთდეს ამონაწერი შესაბამისი დოკუმენტებიდან.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა

6.1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასება.

6.2. გასაჩივრების (აპელაციის) შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დეკანატს, რომელიც არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: „უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები);

6.3. კომისია ორი სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს;

6.4.„უნივერსიტეტი“ არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

დანართი 1
ვერიფიკაციის გეგმა

შეფასების სისტემის მიმართ არსებული მოთხოვნა	განმარტება	სისტემის რომელ ნაწილს ეხება	შემოწმების მიდგომა
ვალიდური	შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მხედვით	შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა
სანდო	შეფასების სიტემა სანდოა თუ განხორციელებული შეფასების შედეგი განყარებულია სათანადო მტკიცებულებით.	შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ
განჭვირვალე	შეფასების სიტემა გამჭვირვალეა თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათის	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიუირება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის მიხედვით
სამართლიანობა და ობიექტურობა	შეფასების სიტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირებს იყვნენ თანაბარ პირობებში	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) შეფასებული პირის ინტერვიუირება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის მიხედვით

დანართი 2

შეფასების ინსტრუმენტი

პროგრამის სახელწოდება
მოდულის სახელწოდება
ჯგუფი
პროფესიული მასწავლებელი
შეფასების ჩატარების ტარიღი

სწავლის შედეგი №

შესაფასებელი სწავლის შედეგი	მიუთითეთ მოდულში ასახული სწავლის შედეგი
შეფასების შესრულების კრიტერიუმი	შეფასების ინსტრუმენტის მოცემულ ველში აისახება სწავლის იმ შედეგის/შედეგების და შესრულების კრიტერიუმები, რომლის შეფასებისთვისაც შეიქმნა ის (ჩანაწერი შეესაბამება მოდულის სტანდარტული ჩანაწერებით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმებს)
შეფასების მიმართულება	შეფასების მიმართულება გამომდინარეობს შესაბამისი მოდულის სტანდარტული ჩანაწერებიდან და მისი შეცვლა არ შეიძლება.
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტები (ტესტი, ზეპირი შეკითხვები, სიმულაცია, პრაქტიკული დავალება და სხვა) გამომდინარეობს შესაბამისი მოდულის დამხმარე ჩანაწერებიდან. იმ შემთხვევაში თუკი მასწავლებელს მიზანშეწონილად მიაჩნია მოდულში მითითებული შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა უნდა შემოვიდეს წერილობითი რეკომენდაციით მოდულში შებამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.
შეფასების პროცესის აღწერა	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები პროფესიული სტუდენტებისათვის გასაგები ენით არის აღწერილი, მოცემულია მათი შესრულების ზუსტი ინსტრუქტაჟი.
დავალეების შესასრულებლად განსაზღვრული დრო	დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო გამომდინარეობს მოდული საათების განაწილების სქემიდან. იმ შემთხვევაში თუკი მასწავლებელს მიზანშეწონილად მიაჩნია შეფასებისათვის გამოყო-ფილი საათის შეცვლა უნდა შემოვიდეს წერილობითი რეკომენ-დაციით მოდულში შებამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.
შეფასების საჭირო გარემო/პირობები	აღწერილია შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი; აღწერილია შეფასების პროცესის პირობები, თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით, ინტერნეტით სარგებლობა, შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს თანამშრომლობა შეფასების პროცესში და სხვ.
შეფასების მტკიცებულება	შეფასების მტკიცებულება მითითებულია მოდულის დამხმარე ჩანაწერების შესაბამისად (მაგ: შემფასებლის მიერ შევსებული შესრულების პროცესზე დაკვირვების ფურცელი, შემფასებლის მიერ შევსებული შევსებული პროდუქტის შეფასების ფურცელი, ზეპირი

	გამოკითხვის ფურცელი, შესრულებული პროდუქტი, შევსებული ტესტი და ა.შ).
შეფასების სქემა/შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტის დანართ(ებ) სახით. შეფასების კრიტერიუმებში დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში დადასტურდება სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი.
განმეორებითი შეფასება	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ, დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული განათლების მასავლებელი _____

შეთანხმებულია
ხარისხსი უზრუნველყოფის სამსახური _____

სწავლის შედეგი _____ დადასტურდა / ვერ დადასტურდა

გავეცანი პროფესიული სტუდენტი _____

დანართი 3

შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

ზოგადი ინფორმაცია	შესაბამისობა		
	დიახ	ნაწილობრივ	არა
საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება			
მოდულური პროგრამის დასახელება			
მოდულის დასახელება			
შეფასების მიმართულება			
შეფასების ინსტრუმენტი			
პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი			